ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4642116

ნომერი: AR1701268

თარიღი : 16.08.2019

გაცემის თარიღი : 22.08.2019

გაცნობის თარიღი : 27.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი-3 , I მ/რ, N13 და N15 კორპუსების მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ვერულავა პ/ნ 01017002908
- თბილისი მ.ბროსეს ქ. N 4

ნომენკლატურა :

- ბენზინ ან დიზელ გასამართი
- IV კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3378193
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 12.07.2017

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ბენზინ გასამართი სადგური
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით ვერულავა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თორნიკე შოთაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030006853

.სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1248.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 21.09
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 16.64
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 16.64
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 78.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 73.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 4.2
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 3.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 23.59/1248=0.1
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 21.09/1248=0.1
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 647.9/1248=0.5

.პროექტირების შედეგად მიღებული ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1248.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 58.4
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 37.39
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 18.35
- .საწარმოო ფართობი (კვ.მ).: 11.75
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 7.29
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 344.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 315.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 29.2
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 5.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 5.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.5
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 58.38/1248=0.1
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 44.08/1248=0.1
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 672.9/1248=0.5

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ გარდა რეკონსტრუქციისა ასევე დაგეგმილია ახალი მშენებლობა. შესაბამისად ამ განაცხადზე დატოვეთ მხოლოდ რეკონსტრუქციის ნახაზები (რისთვისაც გიხარვეზდებათ ყველა საჭირო ველი) და დოკუმენტაციიდან ამოიღოთ ახალი მშენებლობა, როსთვისაც სალითხი უნდა დააყენოთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენით და შემდგომ საკითხი უნდა დააყენოთ სწორი ნომენკლატურით.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური ამ ეპატზე მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ამ ეპატზე გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები

1. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-81 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში. კერძოდ აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-5 პუნქტის თანახმად მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 4 (ოთხი) ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – 5 (ხუთი) ლარს. მიუთითეთ კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართებს შორის სხვაობა - შეთანხმებული და კორექტირებული პროექტის მიხედვით და გადაიხადეთ შესაბამისი ინვოისი გადახდილი თანხის გამოკლებით;

2. საინფორმაციო დაფა - ბანერი - წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა განთავსებული უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი №57 დადგენილების 40-ე მუხლის 2-ე ქვეპუნქტის შესაბამისად გაპის სტადიაზე მოწყობილ არსებულ დაფაზე დამატებით უნდა განთავსდეს სამშენებლოდ დამტკიცებული მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ასახული ინფორმაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნებართვის მაძიებლის მიერ მოწყობილი ბანერი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
დ)შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები.
ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

3.დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დამკვეთის ველში საჭიროა შეივსოს ორგანიზაციის ველებიც. წარმოდგენილი იქნას იპოთეკარის თანხმობა (საჭიროების შემთხვევაში ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად)

4. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: ატვირთული უნდა იყოს ველის შესაბამისი დოკუმენტი.

5.ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: ატვირთული უნდა იყოს ველის შესაბამისი დოკუმენტი.
6. შესაბამის ველში ატვირთეთ კონსტრუქციული დასკვნა სარეკონსტრუქციო შენობის ტექნიკურ მდგომარეობასა და მშენებლობის პროცესში მასზე ზეგავლენის შესახებ, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ ექსპერტის მონაცემები; იმ შემთხვევაში, თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება მშენებლობის პროცესში, დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები;
7. დამატებითი დოკუმენტაციის ველში ატვირთეთ - .საჭიროების შემთხვევაში დაბინძურების სტაციონალური

წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.